

**რეგიონალური სტილის საკითხი ქართულ ხალხურ
საკრავიერ მუსიკაში
(სვანეთი)**

ქართული მუსიკალური ფოლკლორის არსებით თავისებურებას მრავალ-ხმიანობასთან ერთად მრავალდიალექტიანობაც წარმოადგენს. საქართველოს ყოველი რეგიონის (ისტორიული ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულის), ყოველი ეთნოგრაფიული ჯგუფის (ერთი ეთნოსის შემადგენელი ნაწილის) მუსიკალური შემოქმედება წარმოადგენს გარკვეულ მუსიკალურ-დიალექტოლოგიურ ერთეულს, სადაც გამოკვეთილია მოცემული გეოგრაფიული არეალის რეგიონალური მუსიკალური სტილი.

ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროშია სვანეთი, მისი მუსიკალური დიალექტი, უფრო ზუსტად, საკრავიერ მუსიკაში გამოვლინებული რეგიონალური სტილი.

ქართული მუსიკალური დიალექტოლოგია, როგორც მუსიკისმცოდნეობის დამოუკიდებელი დარგი, არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა ამის საფუძველი არსებობს. დღესდღეობით ქართული მუსიკალური დიალექტოლოგია წარმოადგენს ფოლკლორისტიკის ნაწილს, ფაქტობრივად ასიმილირებულია მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში.

მუსიკისმცოდნეობაში დიალექტის ცნება ნასესხებია ენიდან. საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით დიალექტი არის საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელიც მოცემული ენის საერთო ნიშნებთან ერთად მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებსაც ატარებს. დიალექტი შეიცავს უფრო მცირე დიალექტურ ერთეულებსაც – კილოკავი, თქმა, ქცევა (გიგინეიშვილი და სხვ., 1961:XIX; ჯორბენაძე, 1989:7).

„მუსიკალური დიალექტის“ ცნებაში იგულისხმება გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებული მუსიკალური ფოლკლორის სხვადასხვა სტილური თავისებურებების კომპლექსი (Ã ð ï ãñëë, 1968:41).

მუსიკალური დიალექტოლოგიის ფუძემდებლად აღიარებულია დიდი უნგრელი კომპოზიტორი და ფოლკლორისტი ბ. ბარტოკი (1881-1945), რომელმაც 1923 და 1925 წლებში გამოცემული შრომებით დაასაბუთა რუმინულ და უნგრულ ფოლკლორში დიალექტების არსებობა. მაგრამ ბევრად ადრე, დ. არაყიშვილმა (1873-1953) რუსულ ენაზე 1905 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით (Ãðãëë ãëëë, 1905), ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა მუსიკალურ დიალექტოლოგიას – ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას ცალკეული დიალექტების მიხედვით. მან გამოკვეთა დამოკიდებულება ცალკეული რეგიონის მუსიკალური შემოქმედებისადმი როგორც დამოუკიდებელი დიალექტოლოგიური ერთეულისადმი. მაგრამ ხაზგასმით მიუთითებდა დიალექტთა ერთიანობის, ერთი დასაბამის, „ერთი თესლის“ შესახებ (არაყიშვილი, 1925:5).

სხვადასხვა რეგიონის დიალექტურ განსხვავებასა და მათ მსგავსებასა-საერთოობაზე მიუთითებდა ზ. ფალიაშვილი თავის წერილში სვანური ფოლკლორის შესახებ (კაშმაძე, 1948:109-110).

ლექტებში ფანდური, დასავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ჩონგური, სვანეთისათვის დამახასიათებელია ხემიანი საკრავი ჭუნირი, რომელიც ცნობილია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთის (რაჭა) და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებში (თუშეთი, ხევსურეთი), ხოლო არფის ტიპის საკრავი ჩანგი მხოლოდ სვანეთშია შემონახა.

სვანეთი – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რეგიონი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე და კავკასიონის პარალელური სვანეთის ქედის ორივე კალთაზე. სვანეთის ქედი ჰყოფს სვანეთს ზემო და ქვემო სვანეთად, რომლებიც, შესაბამისად, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებშია მოქცეული.

ზემო სვანეთს ბალის ქედი ჰყოფს ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთად. სვანურში ტრადიციულად, ოთხი კილო გამოიყოფა: ბალსზემოური, ბალსქვემოური – ზემოსვანური დიალექტები ენგურის ხეობაში, ლენტეხური და ლაშხური – ქვემოსვანური – ცხენისწყლის ხეობაში (თოფურია, 1931:IX; ონიანი, 1998:8). განსხვავება კილოებს შორის მოიპოვება როგორც ფონეტიკაში, ისე მორფოლოგია-სინტაქსსა და ლექსიკაშიც (შანიძე, და თოფურია, 1939:XIII). ამ დიალექტთა გამოყოფის ძირითად საფუძვლად ხმოვანთა სისტემაში არსებული სხვაობები არის მიჩნეული (შანიძე, 1981:321-322)]. სვანურ ენაში არსებული განსხვავებები ემთხვევა შესაბამის არეალში განსხვავებებს ყოფით რეალებში. ამიტომ ეთნოლოგები, ენათმეცნიერთა მსგავსად, უპირატესობას ანიჭებენ სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის განხილვას ლოკალურ თავისებურებათა გათვალისწინებით (ბარდაველიძე, 1939:XII; ხარაძე და რობაქიძე, 1964:15-16). ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები ცხადყოფს დიფერენცირებულად განხილვის აუცილებლობას, სვანური ენის კილოების გავრცელების არეალების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სვანური ენის ყოველი კილო ავლენს, თავის მხრივ, ტენდენციას დიფერენციისაკენ, ცალკეულ ხეობებსა და სოფლებში შესამჩნევია „წვრილწვრილი განსხვავებანი“ (შანიძე და თოფურია, 1939:XIV).

სვანურ მუსიკალურ დიალექტში უფრო მცირე დიალექტოლოგიურ ერთეულად დიფერენციაციის ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში კონსტატირებული არ არის, მაგრამ შიდადიალექტური სხვაობები გარკვეულწილად გაცნობიერებულია. ამაზე მეტყველებს დ. არაყიშვილის ერთი შენიშვნა, რომელიც მას გაკეთებული აქვს არა მიზანმიმართულად, საგანგებო დიალექტოლოგიური კვლევის პროცესში, არამედ ზოგადად: „ჩვენ ვლაპარაკობთ ჯერ ზემო სვანეთის სიმღერებზე, ქვემო სვანეთს არ ვეხებით, რომლის სიმღერებში გვხვდება რაჭისა და ლეჩხუმის მუსიკალური შემოქმედება“ (არაყიშვილი, 1950:13).

ასევე საინტერესოა ამ თვალსაზრისით ზემოთ ნახსენებ არქივში დაცული „სვანური ნადური“, დამუშავებული ილია ფალიანის მიერ, რომელსაც აქვს მინაწერი – „ქვემოსვანური კილო“ (არქივი, 1779).

სვანური მუსიკალური დიალექტის შიგნით არსებული ან არარსებული დიფერენციაციის დასადგენად, ანუ დიალექტზე მცირე ერთეულის – კილოკავების არსებობის დასადგენად საჭიროა ერთი ჟანრის ყველა სიმღერის ინტენსიური შესწავლა, ანუ შესწავლა ყველა თემში, სოფელში, ხეობაში.

წინამდებარე მოხსენება ეყრდნობა სვანური ხალხური შემოქმედების იმ ნიმუშებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ვ. ახოზაძის კრებულში და დაცულია

ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდური ცენტრის ფოლკლორის განყოფილების არქივში. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სოფელში სულ რამდენიმე ერთი დასახელების სიმღერაა ჩანერილი. ესენია: „კვირია“ (ლენჯერი, ბალსზემო სვანეთში და ფარი, ბალსქვემოში), „ბარბალ დოლაშ“ (მესტია, ლანჩვალი – ორივე ბალსზემოში), „ზარი“ (მუჟალი, უშგული ბალსზემოში, სასაში ლაშხეთის თემში, ფარი – ბალსქვემოში).

ინსტრუმენტული მუსიკის ნიმუშები საერთოდ ძალიან ცოტაა. სულ ორი-ოდე ჰანგი და სიმღერა აკომპანემენტით, ხემიანის თანხლებით: „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ – „დალი კლდეზე მშობიარობს“, ახოზაძე, 1957:129, 74), „ო, საბრელა ნამყსურ ჯაჭვლიან“ (ახოზაძე, 1957:88, 4), სამხმიანი სიმღერა ჩანგისა და ჭუნირის თანხლებით „მირანგულა“ (ახოზაძე, 1957:60, 16), ჩანგის დასაკრავები: „ჩანგის მელოდია“, „ჭუნირის მელოდია“ (არაყიშვილი, 1950:27, 28), „სოზარ ციოყ“ (არქივი, 1824), „ვორირაშა“ (არქივი, 1835).

ასევე ცოტაა გაუშიფრავი ფონოჩანანერებიც. ეს მასალა შესასწავლია. მაგრამ არსებულის საფუძველზეც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

სვანური ინსტრუმენტული ჰანგები არის ორხმიანი, სამხმიანობის ელემენტებით. ორხმიანობა პარალელურ კვინტებზეა აგებული. ჭუნირისა და ჩანგის თანხლებით სამხმიანი სიმღერა „მირანგულაში“ ჭუნირის პარტია ვოკალურის უნისონურს, ჩანგისა – მის აკომპანემენტს წარმოადგენს.

სვანურ ინსტრუმენტულ ნიმუშებში ასახულია სვანური სიმღერის ჰარმონიის არსებითი ელემენტები და ძირითადი ჰარმონიული ფუნქციები (ეოლიური კილოს I, VII, I4/5, გაფართოებული VII საფეხური).

სვანურ საკრავებზეც, ისევე როგორც სხვა დიალექტებში (აისახა მოცემული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი (მრავალხმიანობის ფორმა, კადანსები, აკორდიკა, მელოდიურ-ინტონაციური და მეტრულ-რიტმული მიმოქცევა).

ჭუნირის ჰანგები (ჩანგისაც) ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს საფერხულ სიმღერის ტრანსკრიპციას. აქ ვლინდება ინსტრუმენტული მუსიკის ტენდენცია საცეკვაო ჟანრისაკენ. ამავე დროს, ჰანგები არის ორხმიანი, სამხმიანი და შერეული – ორხმიანობა სამხმიანობის ელემენტებით (ეს უკანასკნელი უფრო ხშირად აკომპანემენტში გვხვდება). დამახასიათებელია პარალელური კვინტები, ნახევარკადანსები (რაც გაპირობებულია მუსიკალური ნაგებობის მრავალჯერ გამეორებით). ამასთანავე, ტონიკური საყრდენი მოცემულია, როგორც ნესი, კვინტური თანახმოვანებით, VII საფეხური – სრული სახით.

სვანური სიმღერებისათვის დამახასიათებელი ე. წ. გაფართოებული VII საფეხური (VII საფეხურის საყრდენზე კონსტრუირებული თანმიმდევრობა).

ინსტრუმენტული ჰანგები ფაქტობრივად სამხმიანი სიმღერების ინსტრუმენტულ ტრანსკრიპციას წარმოადგენს. ამის შესახებ თავის დროზე ვ. ახოზაძეც მიუთითებდა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანური კულტურა, ენა, ადრე მოიცავდა უფრო ფართო ტერიტორიას, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილსაც – ხევსაც. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ნ. მაისურაძემ (მაისურაძე, 1989:50-51). ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი დარიალის ხეობაში, ხევის ტერიტორიაზე წანართა ტომის განსახლე-

ბის შესახებ (ლორთქიფანიძე, 1954:32-34; მუსხელიშვილი, 1977:189). ნანარე-ბის სვანური ტომისადმი კუთვნილების შესახებ ნ. მარისა და ს. კაკაბაძის მოსაზრება სხვა წერილობითი წყაროებითაც გამაგრდა (გვასალია, 1970:753-756). ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა მოხეურ მუსიკალურ დიალექტში სვანიზმების არსებობა, რაზედაც მიუთითებს ნ. მაისურაძე (მაისურაძე, 1989:50-51). ხევისა და სვანეთის მუსიკალურ კულტურათა ერთიანობას მხარს უნდა უჭერდეს არქეოლოგიური მასალაც – ყაზბეგის განძიდან (ძვ.წ. VI ს.) ბრინჯაოს პატარა ქანდაკებაზე გამოსახული მემუსიკე არფისებური საკრავით, რომელიც თვისებრივად სვანური ჩანგის იდენტურია. სვანური და მოხეური ეთნოგრაფიული რეალიების თანხვედრის სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება, მაგალითად, ფერთა სიმბოლიკა, ასახული უძველეს წეს-ჩვეულებებში (გიორგაძე, 1987:75), ენობრივი მონაცემები – იგულისხმება მსგავსი ფონეტიკური მოვლენები სვანური ენის კილოებსა და მოხეურ დიალექტში (ფუტკარაძე, 1998: 261).

სვანური ჩანგის შორეული კავშირი დღევანდელი ხევის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ყაზბეგის განძში არსებულ ბრინჯაოს ქანდაკებაზე გამოსახულ საკრავთან ჩანს არა მხოლოდ მის კონფიგურაციასა და ტიპოლოგიურად მათ იდენტურობაში, არამედ ძალიან საინტერესო დეტალთა თანხვედრაში. ეს არის ყაზბეგელი მესაკრავის გამოსახულებაზე ცალკეული მოძრავი რგოლის (ჯაჭვის სიმულაცია?) არსებობა, რომელიც რელიქტისა და თუ რუდიმენტის სახით შენარჩუნებულია სვანური ჩანგის დეკორზე. ცნობილია, რომ ჯაჭვსაც რიტუალური დატვირთვა აქვს. სვანეთის ეკლესიებში დასტურდება ხატ-ჯვრებთან და სხვა საეკლესიო ნივთებთან ერთად შეწირული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ვერცხლის ჯაჭვები (თაყაიშვილი, 1937:157; სილოგავა, 1986: 269-270). ალბათ, ძნელია ეკლესიისათვის შეწირული ჯაჭვების სამუსიკო ინსტრუმენტის დეკორზე არსებულ მოძრავ რგოლთან კავშირის მტკიცება, მაგრამ ეს რგოლი, როგორც ჯაჭვის სიმბოლო, ამ ასოციაციას აღძრავს. მოძრავი რგოლი სვანურ ჩანგზე და წრიული ფორმის სხვა სიმბოლოები, ჯაჭვის (მისი რგოლის) იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს. სვანური ჩანგის მოძრავი რგოლი, რომელსაც ამჟამად მხოლოდ დეკორატიული და სხვა არავითარი ფუნქცია არ გააჩნია, ყაზბეგის განძის ბრინჯაოს ნივთის მთლიან კომპოზიციასთან, მასზე ასახული სიუჟეტის ძირითად პრინციპთან ასოცირდება.

„სვანური (ენა, მ. შ.) ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძე-ენასთან... მას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით... იგი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთო-ქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის“ (გამყრელიძე და მაჭავარიანი, 1965:361-363).

ეს სიტყვები თამამად შეიძლება მივუსადაგოთ სვანურ მუსიკალურ დიალექტს.

დამონმებული ლიტერატურა

არქივი – ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდური ცენტრის ფოლკლორის განყოფილების არქივი.

არაყიშვილი, დიმიტრი. (1925). *ქართული მუსიკა*. ქუთაისი: მეცნიერება საქართველოში.

არაყიშვილი, დიმიტრი. (1950). *სვანური სიმღერები*. თბილისი: ხელოვნება.

ასლანიშვილი, შალვა. (1970). *ქართული (ქართლ-კახური) სიმღერების ჰარმონია*. თბილისი: განათლება.

ახობაძე, ვლადიმერ. (1957). *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული*. თბილისი: ტექნიკა და შრომა. (შესავალი ქართულ და რუსულ ენებზე).

ბარდაველიძე, ვერა. (1939). *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი*. I. ახალწლის ციკლი. ტფილისი: სსრკ აკადემიის საქართველოს ფილიალი.

გამყრელიძე, თამაზ. მაჭავარიანი, გივი. (1965). *სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გვასალია, ჯონდო. (1970). *წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 59, №3:753-756. (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გვახარია, ვაჟა. (1962). *ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება*, თბილისი: ხელოვნება.

გიგინეიშვილი, ივანე; თოფურია, ვარლამ და ქავთარაძე, ივანე. (1961). *ქართული დიალექტოლოგია*, I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გიორგაძე, დალი. (1987). *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ ენაზე).

თაყაიშვილი, ექვთიმე. (1937). *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*. პარიზი.

თოფურია, ვარლამ. (1931). *სვანური ენა*, I. ტფილისი: პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა.

კაშმაძე, შალვა. (1948). *ზაქარია ფალიაშვილი*. თბილისი: ხელოვნება.

ლორთქიფანიძე, მარიამ. (1954). *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვეთი 31:11-51. (რეზიუმე რუსულ ენაზე).

მაისურაძე, ნინო. (1982). *ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)*, 4:123-138. (რეზიუმე რუსულ ენაზე).

მაისურაძე, ნინო. (1989). *ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები*. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ ენაზე).

მუსხელიშვილი, დავით. (1977). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*. I. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ ენაზე).

ონიანი, ალექსანდრე. (1998). *სვანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები)*. თბილისი: პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სილოგავა, ვალერი. (1986). *სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატინეები*. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბილისი: მეცნიერება (რეზიუმე ფრანგულ ენაზე).

ფუტკარაძე, ტარიელ. (1998). ქართველურ ენებში ე. ნ. „საფეხურებრივი უმლაუტისა“ და რელატიური ქრონოლოგიის ზოგი საკითხისათვის. კრებულში: ფუტკარაძე, ტარიელ (მთ. რედ.). *ქართველური მემკვიდრეობა, II*. (გვ. 255-263). ქუთაისი: ქართული ენა. (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

შანიძე, აკაკი. (1981). უმლაუტი სვანურში. *თხზულებანი 12 ტომად*, ტ. II. გვ. 321-374 თბილისი: მეცნიერება.

შანიძე, აკაკი და თოფური, ვარლამ (შემდგენლები). (1939). *სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო*. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შილაკაძე, მანანა. (1979). ქართული მუსიკალური დიალექტები. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XX:85-91* (რეზიუმე რუსულ ენაზე).

შილაკაძე, მანანა. (1996). ქართული მუსიკალური დიალექტები და მისი ამოცანები. კრებულში: ფუტკარაძე, ტარიელ. (მთ. რედ.). *ქართველური მემკვიდრეობა, I*. (გვ. 271-276). ქუთაისი: ქართული ენა, (რეზიუმე რუსულ ენაზე).

ჩხიკვაძე, გრიგოლ. (1960). *ქართული ხალხური სიმღერა. I*. თბილისი: საბჭოთა საქართველო. (შესავალი ქართულ და რუსულ ენებზე).

ჯორბენაძე, ბესარიონ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია. I*. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).

Àðàèèø àèèè (Àðàè-èàà), Àì èððè. (1905). *Èðàð èèé í ðððè ðàçàèð èý ãððçèí ñèí é (èàðð àèèí í-èàðð èí ñèí é) í àðí àí í é í àñí é. Ì í ñèàà: Õèí í ðàðð èý È. Ì àí ùø í àà.*

Àñèàí èø àèèè, Ø àèàà. (1957). *Í àðí àí ù à í ñí í àù àððí Ì í èè ðððçèí ñèèð èí Ì í çèðð ðí à. À ñàí ðí èèà: Õéèóèèàçà Àí òí í (ðàà.). Àððçèí ñèàý í óçú èàèùí àý èóèùò óðà. (ñòð. 410-445). Ì í ñèàà: Àí ñ. Ì óçú èàèùí í à èçààðàèùñòàí.*

Ãððàèàí èàçà, Ýàèø àð. (1990). *Ãððçèí ñèèà í óçú èàèùí ù à àèàèàèò ù è èð àçàèí í í ò í í ø àí èà. Ààíð ðàð àðàð èàí àèààòñèí é àèññàððàðèè. Óàèèèñè.*

Ãí ø í àñèèé, Àèààèè èð. (1968). *Óèðàèí ñèèà í àñí é Çàèàðí àð ùý. Ì í ñèàà: Ñí à. èí Ì í çèðð ð. (Óàèñòú Ì àñàí í à ðíñ. è óèð. ýçú èàð).*

×í òí í àèèèàçà, Ààñààèè. (1986). *Í í àèí òí ðù òí ðí àèàí àð ðððçèí ñèí é í àðí àí í é Ì í Ì ã èí ñ-í í é Ì óçú èè. Ðàñíí óàèèèàí ñèàý í àó-í àý èí í ó àðàí óèý Àí òí ñú í àðí àí í àí Ì í Ì ã èí ñèý. (ñòð. 22-24). Àí ðàñ Ì è: Ñí ðç Èí Ì í çèðð ðí à Àððçèè, Óàèèèñèàý Àí ñ. Èí Ì í ñàðààòí ðèý.*

Šilakadze, Manana. (1998). Zu den Grundlagen einer georgischen Musikdialektologie. In: *Georgika*, 21, S. 148-154.